

24 საათი

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 31 აპრილს

"24 საათის" ფიქიანი ნომერი ***2424**

უზბეკეთში ამერიკული სამხედრო ბაზა დაბრუნდება? **A5**



ფერადი კუბიკების სამყარო **A6**



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე **www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჰი ჰი ჰი
შენი სადაზღვეო ჯგუფი

“მშვიდობა” რუსულად

დღეს ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცნო. ამის აღსანიშნავად როგორც ბაგაფშის ხელისუფლებამ, ასევე ედუარდ კოკოითიმ მადლიერება გამოხატეს ვლადიმირ პუტინისა და დმიტრი მედვედევის მიმართ. ამავე დროს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, სადაც კიდევ ერთხელ გაამართლა 2008 წლის 26 აგვისტოში სეპარატისტული ანკლავების დამოუკიდებლობის აღიარება. რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების მტკიცებით, აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ და ამ ტერიტორიებზე რუსული შეიარაღებული ნაწილების განთავსებამ ე.წ. რესპუბლიკებში უზრუნველყო უსაფრთხოება და სტაბილურობა. როგორც “მშვიდობა” დაამყარეს რუსმა სამხედროებმა, კარგად ჩანს იმ სტატისტიკაში, რომელიც რუსული ოკუპაციის შემდეგ ამ ტერიტორიებზე განხორციელებულ ინციდენტებს ასახავს.

დათო ბაჩისონია

“მშვიდობიან ცხინვალზე ქართველ სამხედროთა ბარბაროსული თავდასხმის ფონზე, რუსეთის მიერ ორი რესპუბლიკის აღიარებამ შემდგომი სისხლისღვრა აღკვეთა და ხელი შეუწყო რეგიონში პრობლემის მოგვარებას. შექმნილი ვითარების გამო, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო,” - ასე

აფხაზებს ერთი წლის წინანდელ გადაწყვეტილებას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გუშინ, 2009 წლის 25 აგვისტოს გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში. განცხადებაში, რომლითაც რუსეთი საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარების გამართლებას ცდილობს, აგრეთვე წერია, რომ ამჟამად რეგიონში სტაბილურობას და უსაფრთხოებას რუსი მესაზღვრეები და სამხედროები უზრუნველყოფენ.

ბაზრქალაბა A3 გვირდვა

ჩრდილოეთ კავკასია - შავიღოთა აქტიურობის ზონა

ხათუნა ბაჩიანი

ჩრდილოეთ კავკასიაში გახშირებული ტერაქტები და კრემლის მიერ მართულ სამართალდამცავ ორგანოებთან ბოვიკების დაპირისპირებები რეგიონში ვითარების დაძაბვას მიუთითებს. რეგიონში გატარებული რიგი ღონისძიებების მიუხედავად, რუსეთის სამხრეთ სასაზღვრო ზოლში ვითარება არ უმჯობესდება - ტერაქტები ყოველდღიურად ხან ჩეჩნეთში, ხან ინგუშეთში და ხანაც დაღესტანში ხდება.

ჩეჩნეთში შალინსკის რაიონში თვითმკვლელი ტერორისტის მიერ განხორციელებულ ტერაქტს 5 მილიციელი ემსხვერპლა, 4 ადგილზე, ხოლო ერთი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. თუმცა, მძიმედ დაჭრილი ერთი მილიციელის გარდაცვალების ფაქტს რუსული წყაროები არ ადასტურებენ და აცხადებენ, რომ იგი ჯერ კიდევ ცოცხალია და მკურნალობის კურსს გადის კლინიკაში. მილიციელების გარდა, დაჭრილია კიდევ ორი სამოქალაქო პირი. ბოვიკის ვინაობა უკვე დადგინდა. ტერაქტი არღუნის მკვიდრმა 25 წლის მაგომედ შახიდოვმა განახორციელა.

ბაზრქალაბა A2 გვირდვა



AFP © 2009

ეკონომიკური კრიზისის ახალი ტალღის მოლოდინი

საქართველოს მთავრობაში ვარაუდობენ, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის კლება მიმდინარე წელს 4 პროცენტს გაუთანაბრდება. ხელისუფლება ამ საკითხზე ოფიციალური განაცხადების გაკეთებას არ ჩქარობს, თუმცა საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს პრემიერი, ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკიც აწერს, ასეთი პროგნოზი ღიად არის გამოთქმული.

ნიმე ნატროშვილი

შემდგომში გახდა სსფ-ს მიერ 6 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი (საქართველოს 2008 წლის სექტემბერში დამტკიცებული Stand-By

Arrangement-ის (SBA) ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური დახმარების - 748,3 მლნ. აშშ დოლარის, (477,1 მლნ. SDR) 423,5 მლნ. აშშ დოლარით (270 მლნ. SDR) გაზრდის შესახებ) ნათქვამია: "მიმდინარე გლობალური ეკონომიკური კრიზისი ჩრდილს აყენებს საქართველოს ეკონომიკის ზრდის პერსპექტივებს. ეს მდგომარეობა დამძიმებულია ადგილობრივი

პოლიტიკური დაძაბულობით, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ეკონომიკური აქტივობა კიდევ უფრო შემცირდა. მცირედ გაჯანსაღებას ველით მიმდინარე წლის მეორე ნახევარში, მაგრამ რთულაა, შეაფასო ნებისმიერი ასეთი გაჯანსაღების სიღრმე.

ბაზრქალაბა A2 გვირდვა

შვედები თბილისს დანაკლისით ესტუმრნენ



ფაჩულის კარგ თამაშზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში, 19.00 საათზე, საქართველოს საკალათბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში შვედეთის ნაკრებს შეხვდება.

ის, რომ იგორ კოკოშკოვის გუნდი პლეი-ოფებში ითამაშებს, უკვე გადაწყვეტილია, თუმცა სწორედ დღევანდელი მატჩის შემდეგ გაირკვევა, თუ ვისთან მოგვიწევს წიდილი ელიტური A დივიზიონის საგზურის მოსაპოვებლად. შვედების დამარცხების შემთხვევაში ქართველი კალათბურთელები ბელორუსის ნაკრებს შეხვდებიან და მეორე განმეორებით მატჩს თბილისში გამართავენ. შვედებთან მარცხი კი ჩვენთვის შესაძლოა ფატალურიც აღმოჩნდეს. საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში მონტენეგროს ძლიერ ნაკრებთან მოგვიწევს თამაში.

შვედები თბილისს ორშაბათს ეწვივნენ. სკანდინავიელებს თბილისურ მატჩში, სავარაუდოდ, ორი ნამყვანი კალათბურთელი დააკლდებათ. შვედეთის ნაკრების განაცხადში არ არის 204 სანტიმეტრი სიმაღლის იონას იერეკო, რომელიც 2009 წლის NBA-ს დრაფტზე

“დეტროიტმა” აიყვანა. მართალია, განაცხადში შეყვანილია, მაგრამ ტრავმირებულია შვედების კიდევ ერთი ლიდერი, 211 სანტიმეტრი სიმაღლის იოაკიმ ბლომი. მისი თამაში სათუთაა. ვიკინგთა მთავარმა მწვრთნელმა სტას ფლავერაკისმა თბილისში 14 კალათბურთელი ჩამოიყვანა და აქედან დღევანდელ განაცხადში 12-ს შეიყვანს.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს. მარცხენა კოჭის ტრავმის გამო ისევ ვერ ითამაშებს მანუჩარ მარკოიშვილი. ის ახლა იტალიაშია და თავის ახალ კლუბ “ვირტუსში” გადის სამედიცინო შემოწმებას. საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობის ვარაუდით, მანუჩარმა შესაძლოა პლეი-ოფის მატჩებში მონაწილეობა მიიღოს, თუმცა ყველაფერი ქართველი უკანახაზელის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული. იმედია, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ნამყვანი კალათბურთელი გადამწყვეტი მატჩებისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება.

გამოჯანმრთელდა “ჯვაროსნების” კიდევ ერთი წევრი ნიკა მეტრეველი, რომელიც მაღალი სიციხის გამო ირლანდიასა და სლოვაკეთ-

თან მატჩებში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში არ გამოჩენილა. მეტრეველმა უკვე ივარჯიშა და შვედეთთან მატჩისთვის განაცხადში შეიყვანა.

სკანდინავიელებმა 25 აგვისტოს თბილისის სპორტის სასახლეში დილით და საღამოს ივარჯიშეს. საქართველოს ნაკრებმა კი საღამოს ივარჯიშა. ეს ვარჯიში მედიისთვის დახურული იყო.

შვედები თბილისს ასეთი შემადგენლობით ეწვივნენ:

ჯიმ ნისტროიმი (1982 წელი, 194 სანტიმეტრი), ტომას მასამბა (1985, 183), მიქაელ ლიმკისი (1983, 193), მატს ლევინი (1977, 193), იოან აკასონი (1984, 209), სერკან ინანი (1986, 202) კენეტ გრანტი (1982, 188), იოაკიმ კიელბომი (1979, 213), იოაკიმ ბლომი (1976, 211), მარტინ რინგსტიომი (1982, 206), ლესლი მარტილი (1977, 199), იოთამ კოლდეგრანტი (1983, 204), ოლივერ იუნგა (1984, 185), მარტინ პალმბლადი (1986, 193)

მთავარი მწვრთნელი: სტას ფლავერაკისი
ასისტენტი: პუნტუს ფრივოლდი

დავით ასკურავამ რუსეთის ღია პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

19 წლის ველომბოლი და ვით ასკურავამ სანქტ-პეტერბურგში გამართულ რუსეთის ღია პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. რუსეთის პირველობაზე სპეციალური მინივეით მყოფმა ქართველმა ველომბოლი სამ დისციპლინაში მოსინჯა ძალა და 1 კილომეტრ დისტანციაზე ნაჩვენები შედეგით - 1.06.228 მესამე ადგილზე გავიდა.

რუსეთის ღია პირველობაზე 57 სპორტსმენი მონაწილეობდა, 1-კილომეტრიან დისტანციაზე კი, სადაც ასკურავამ შედეგი აჩვენა, 10 ველომბოლი გაეჯიბრა ერთმანეთს.

ასკურავას მწვრთნელის - როდიკო მეიშვილის თქმით, რუსეთის ღია პირველობა სანქტ-პეტერბურგის ახლად აშენებულ ტრეკზე

უმალეს დონეზე ჩატარდა. მასში რუსეთის საუკეთესო ველომბოლებმა მიიღეს მონაწილეობა. პირველობის სანახავად ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ვეტერანი სპორტსმენებიც ჩავიდნენ.

მეიშვილის განცხადებით, ქართველი სპორტსმენი რუსეთის ღია პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად სპრინტი რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოთარ მჭედლოშვილმა მიიწვია.

ასკურავა ამჯერად მწვრთნელთა მეთვალყურეობით თბილისში აგრძელებს წვრთნას. სექტემბრის მინურულს დათო ევროპის თასის ფინალურ ეტაპზე ბარსელონაში ცდის ძალებს, ოქტომბრის მინურულს კი მას მსოფლიო თასის პირველი ეტაპი ელის.

ასკურავამ 15-19 ივლისს მინსკ-

ში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა და 1-კილომეტრიან დისტანციაზე მე-13 ადგილი დაიკავა (1.05.648). წელსვე, 29-31 მაისს, მოსკოვის ცნობილ ტრეკ “კრილატსკიზე” გამართულ მოსკოვის “გრან პრიზე”, რომელიც ამავე დროს ევროპის თასის მეორე ეტაპია, მან საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა და 1000-მეტრიანი დისტანცია 1.05.043 წუთში დაფარა, რითაც 1986 წლის რეკორდი გააუმჯობესა (ეს რეკორდი ოთარ მჭედლოშვილს ეკუთვნოდა - 1.05.717). ქართველი ველომბოლი ამ მაჩვენებლით 17 მონაწილეს შორის მე-4 ადგილზე გავიდა და საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებს მხოლოდ წამის მესამედებით ჩამორჩა.

მის საქართველო 2009 MISS GEORGIA

ნიიჯ-ცენტრი იხვევს 17-25 წლამდე ასაკის გოგონებს მის საქართველო 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

გახლი მის საქართველო!

მოიგა მთავარი პრიზი ახალი ავტომობილი სუზუკი სელარიო და გაემგზავრეთ სილამაზის საერთაშორისო კონკურსებში.

ნიჩარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია 9 სექტემბრამდე.

თბილისი ნიკო ნიკოლაძის №6 ტელ: 98 51 48, 20 00 20 855 95 90 25	ბათუმი ბარათაშვილის 23 ტელ: 7 68 23, 899 40 62 63	რუსთავი ვახუშტის ძ. 5, 24 სპ. სკოლა ტელ: 871 99 17 74, 879 78 07 84, 899 23 69 64
--	--	---

www.missgeorgia.ge



კალაძე “მილანს” არ დატოვებს

მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ჩემპიონატის პირველ ტურში კახა კალაძე გუნდის განაცხადშიც არ ყოფილა და, ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, ქართველი მცველის გადაბირება “ფიორენტინას” და მიუნხენის “ბაიერნს” სურთ, საქართველოს ნაკრების კაპიტანი კარიერას მაინც “მილანში” გააგრძელებს. ამაზე მეტყველებს თავად კალაძის განცხადება (რომელიც კახამ რამდენიმე დღის წინ საკუთარ ვებგვერდზე გააკეთა) და გუშინ “როსონერის” ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის მიერ ნათქვამი სიტყვებიც.

“კალაძე “მილანს” არ დატოვებს. ის არ იყიდება. რაც შეეხება ოდოს, ჩვენი გუნდიდან მის ნასვლას არ გამოვირცხავ”, - მოკლედ განაცხადა ადრიანო გალიანი.

რაც შეეხება 33 წლის ოდოს, როგორც იტალიური მედია იუწყება, მისი შექმნა ინგლისის “ვესტ ჰემ იუნაიტედის” მთავარ მწვრთნელს ჯანფრანკო ძოლას უნდა. თანაც, “მილანის” მთავარმა მწვრთნელმა ლეონარდომ გარკვევით განაცხადა, რომ ოდო მის გეგმებში არ შედის.

“ბაიერნს” რიბერი უბრუნდება

მიუნხენის “ბაიერნის” ფრანგმა ნახევარმცველმა ფრანკ რიბერიმ გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა.

საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრ რიბერის ბარძაყის კუნთის ტრავმა ანუხებდა და გასულ შაბათს “მაინცთან” ნაგებული მატჩი ამიტომ გამოტოვა.

მართალია, რიბერი გუნდს დაუბრუნდა, მაგრამ ბავარიელებს კვლავ ვერ ეხმარება იტალიელი ფორვარდი ლუკა ტონი, რომელსაც აქილეისის მყესი ანუხებს.

მესი 300 მილიონი ევრო ღირს

“ბარსელონას” ხელმძღვანელობა ახალი ხელშეკრულების სამზადისშია - ისინი არგენტინის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ ლეო მესისთან თანამშრომლობას გააგრძელებენ. მომავალი შეთანხმების მიხედვით, 22 წლის ფეხბურთელის წლიური შემოსავალი 9,5 მილიონ ევრომდე გაიზრდება. ამავე დროს კლუბის ხელმძღვანელობა კონტრაქტში შეიტანს პუნქტს, რომელშიც მესის სატრანსფერო ღირებულება 300 მილიონ ევრომდე აიწევს.



გაზეთ “24 საათის” რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის ყოფილი თანამშრომელი

აკა ტონია

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.



განცხადება საერთაშორისო ტენდერის გამომცხადების შესახებ

1. გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველო, ქ. თბილისი, აღმაშენებლის 150, 0112, აცხადებს საერთაშორისო ტენდერს მეტეოროლოგიური ხელსაწყოების სახელმწიფო შესყიდვისათვის და მონაწილეობის მისაღებად ინვესტს ყველა დაიტერესებულ პირს.
დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

2. შესყიდვის ობიექტებია:
ლოტი 1:
1. ავტომატური მეტეოსადგური ნალექების, ტემპერატურის, წნევის, ქარის მზომით - 7 ერთეული;
ლოტი 2:
1. ავტომატური მეტეოსადგური ნალექისა და ჰაერის ტემპერატურის მზომით - 15 ერთეული;
2. თხევადი ჰაერის თერმომეტრები: ჩვეულებრივი- 100 ცალი; მაქსიმალური - 100 ცალი; მინიმალური - 100 ცალი.
ავტომატური მეტეოსადგურის მონაცემთა გადაცემა უნდა ხორციელდებოდეს კაბელის საშუალებით დამატებითი GSM მოდემით და ქსელური პროგრამული უზრუნველყოფით.
შემოთავაზებული ხელსაწყო უნდა იყოს მზა და არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების სტანდარტების შესაბამისი. ხელსაწყოები შესაბამისობაში უნდა იყოს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია ქართულ და ინგლისურ ენებზე სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ, 2009 წლის 26 აგვისტოდან 15 სექტემბრის 18 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: თბილისი, აღმაშენებლის 150, 0112, საქართველო.
სატენდერო წინადადებები მიღება მოხდება 2009 წლის 10 საათიდან 15 საათამდე. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 16 სექტემბრის 15 საათზე შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ N150, X სართული. დაგვიანებით შემოსული წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება შემომტანს.
სატენდერო მოსაკრებლის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ინსპექცია, ანგარიშის ნომერი: 200122900, საქართველოს ხაზინა; კოდი 220101222; ხაზინის კოდი 302003174; საიდენტიფიკაციო (ID) კოდი 206160606; დანიშნულება: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სატენდერო მოსაკრებელი.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ((ან ნებისმიერ სხვა ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანის თანხლებით), ლოტის ან ლოტების მითითებით) და დამატებითი დოკუმენტები სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში, რომელშიც მოთავსებული იქნება ორი ეგზემპლარი (დედანი და ასლი).
პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:
იურიდიულ პირთათვის:
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ (უცხო ქვეყნებში რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა);
- ცნობა შესაბამისად სასამართლოდან, გადახდის უნარობის საქმის წარმოების მიმდინარეობის არ არსებობის შესახებ (უცხო ქვეყნებში რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნებში რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა);

ცნობა ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნებში რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (უცხო ქვეყნებში რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა).
ფიზიკურ პირთათვის:
- მენარმის სარეგისტრაციო მოწმობა (უცხო ქვეყნებში რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა).
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ (უცხო ქვეყნებში რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა).
როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში მასზედ (პრეტენდენტზე) ინფორმაციის არ არსებობის შესახებ (ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ პრეტენდენტებს).
სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, წინადადების ღირებულების 1 პროცენტის ოდენობით, რომელიც არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.
5. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი.
6. განცხადების მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტები შერჩევის დროს არ ექვემდებარებიან შემდგომ დაზუსტებას.
7. ტენდერში გამოიყენება საბანკო გარანტიები:
სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, წინადადების ღირებულების 1 პროცენტის ოდენობით;
ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სახელშეკრულებლო ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.
8. ტენდერში დაშვებულია წინასწარი ანგარიშსწორება არაუმეტეს 80 პროცენტის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.
9. სატენდერო წინადადების წარმოდგენა შეიძლება როგორც, ერთ, ასევე რამოდენიმე ან/და ყველა ლოტზე. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
10. სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ პრეტენდენტი განცხადების მე-3 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს განცხადების მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას და საბაზისო მონაცემთა ნუსხაში მოთხოვნილ დამატებითი დოკუმენტებსა და ინფორმაციებს.
11. სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: ტამარ გულიაშვილი და მიხეილ მახარაძე - ტელ: +995 32 439545 მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N150, X სართული.
სატენდერო კომისია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

“საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 710 ლარი).

კონკურსის პირობები:
კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდეგ - კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.
კონკურსი ეწყობა იმ პირობებში, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.
კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.
კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატის ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე. საკონკურსო-საატესტაციო კომისია კონკურსში მონაწილე კანდიდატს აფასებს და გადაწყვეტილებას იღებს “საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურეთა კონკურსის და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 27 მაისის N100 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
- უმაღლესი განათლება;
- სასურველია უცხოური (ინგლისური) ენა;
- სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

საკონკურსო თემატика:
- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
- "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის N541 ბრძანებულება;
- "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 17 მარტის N70 ბრძანება.

ბის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 17 მარტის N70 ბრძანება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:
1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში, 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღებში მისამართზე: **თბილისი, გორგასლის 24.**
კონკურსს ატარებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.
კონკურსი ტარდება გასაუბრების ფორმით განცხადების გამოქვეყნების დღიდან არა უადრეს სამი კვირისა.
ყოველ კანდიდატს, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა, წერილობით ეცნობება მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ.
კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
კონკურსის თაობაზე ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში მისამართზე: **თბილისი, გორგასლის 24; ტელ.: 40-50-67, 40-50-14 (საქართველოს მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღები).**
აღნიშნული განცხადება შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდებზე: **www.justice.gov.ge** (იუსტიციის სამინისტრო), **www.psb.gov.ge** (საჯარო სამსახურის ბიურო) და **www.jobs.gov.ge** (დასაქმება საჯარო სამსახურში).

საჯარო სამსახურის ბიურო





საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება № 116-ჯ

ქ. თბილისი

25 აპრილი - 2009

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2009 წლის 7 ივლისის ჩატარებული ატესტაციის შედეგების საფუძველზე გიორგი ქავთარაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

გზრდნებ:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2009 წლის 7 ივლისის ჩატარებული ატესტაციის არადაამაყყოფილებული შედეგების გამო, გათავისუფლებულ იქნეს გიორგი ქავთარაძე.

2. აღმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს გიორგი ქავთარაძისათვის აღნიშნული ბრძანების გაცნობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან (ქ. თბილისი, ინგოროყვას №7) ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- საფუძველი: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 24 ივნისის №2-144 ბრძანება
2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2008 წლის 24 აპრილის №15 სხდომის ოქმი

ბაყურ ჯვეზერელი

ბანცხადაბა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში საგანმანათლებლო დაწესებულებების გადახურვითი სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერის N1, N2 და N3 ლოტზე გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. "ან-მანი."

ბანცხადაბა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ზუგდიდში საავტომობილო გზის ორმული შეკეთების სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერზე გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. "საგზაო."

ბანცხადაბა ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის 32-ე საჯარო სკოლა (მის.: ქ. თბილისი, ჩარგლის 24), აცხადებს ტენდერს სასკოლო კვების ობიექტის მოწყობის მიზნით 30 კვ.მ ფართის იჯარით გაცემის შესახებ.

გამომხმარებლის ბოლო ვადაა 2009 წლის 10 სექტემბერი.

საკონტაქტო პირი: ნანა ქაჯაია
ტელ.: 612353
893 601021
ელ-ფოსტა: skola32@yahoo.com

ჰაიდელბერგცემენტი HEIDELBERGCEMENT

შპს "ჰაიდელბერგცემენტი კაუკასუსი" აცხადებს ფასთა გამოკითხვას შემდეგი სახის მომსახურებაზე: შპს "ქართული ცემენტი" ქარხანაში ცემენტის ნისქეილის სინქრონული ძრავის DC 260/44-36YX14 ალგზნების სისტემის რეკონსტრუქციაზე

მონაცემების წაღება შეგიძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე: მელიქიშვილის გამ. N16, თბილისი, საქართველო
ტელ: + 995 77 57 75 12
+ 995 32 47 47 47
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com
თამარ დარახველიძე
წინადადებების მოწოდების ბოლო ვადაა: 2009 წლის 4 სექტემბერი.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ატარებს პირველად აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება ს/ს "კაპიტალდენოსერვისი"-ს (ს/ს 206026432) კუთვნილი კოშკოვანის ქ. №26 და ქინძმარაულის ქ. №40 მდებარე ქონება, კერძოდ:

Table with 7 columns: №, დასახელება, რაოდენობა, გამოშვების წელი, სახელმწიფო №, ერთეულის ღირებულება (ლარი), მთლიანი ღირებულება (ლარი). Rows include MAZ 5334, LADA VAZ 21093, and a total of 17500.

Table with 6 columns: №, დასახელება, ზომის ერთეული, რაოდენობა, ერთეულის საბაზრო ღირებულება (ლარი), მთლიანი საბაზრო ღირებულება (ლარი). Rows include land parcels and vehicles like MAZ 5334, LADA VAZ 21093, and a truck.

Table with 6 columns: №, საბურღი გეოლოგიური ჯამი, სუფ ჯამი, კოშკი, ცალი, 1, 5000, 5000, 423984, 441484.

(შეფასებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ).

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 25 სექტემბერს დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ. №8, თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შექენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს თბილისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 25 სექტემბრამდე დაგვიკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია) ტელეფონზე 26-17-62.

ბანკსა და სხვა სხვალი ტენდერის შესახებ

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მისამართი: ქ. ზუგდიდი, 2100 რუსთაველის ქ. №90) აცხადებს ტენდერს **ზუგდიდში შიდა სარეგისტრაციო გზების ორპლანი შეკეთებისა და გაფართოების სამუშაოების შესყიდვაზე** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
2. შესყიდვის ობიექტი დაფიქსირებულია 2 (ორი) ლოტად (*შესასრულებელი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში*).
3. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 45 კალენდარული დღე.
4. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (ორიგინალის და ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით) უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით **2009 წლის 15 სექტემბერს 10 სთ-დან 15 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი №3**. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნეს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

- ა) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ბ) ცნობას, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);
- გ) ცნობას, საჯარო საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოდან).

5.2 ფიზიკური პირისათვის:

- ა) ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ბ) ცნობას, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);
- გ) ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის საბუთი;
- დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი.

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრაციის შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- გ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);
- დ) ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარების და აპარატურის შესახებ (ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად);

№	მანქანა-მექანიზმების და დანადგარების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მფლობელობა (ასალი, ნახმარი, მოქცეული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარეგისტრაციო ფორმ. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები
1					
2					
.					
.					

- ე) ინფორმაცია პრეტენდენტის სპეციალისტთა (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ (ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად);

№	თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება	ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობების წლების მიხედვით)
1					
2					
და					
ა.შ					

- ვ) ინფორმაცია უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების განხორციელების გამოცდილების შესახებ (სამუშაოს მიმოხილვით, რომელიც შესრულებულ იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად).

№	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შენიშვნა: სასურველია ხელშეკრულებების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის
1				
2				
და				
ა.შ				

6. სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში მათი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს მე-5 მუხლში მითითებულ ცნობებსა და ინფორმაციას.
7. დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
8. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2009 წლის 15 სექტემბერს 15 სთ-ზე**, სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტების თანდასწრებით, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
10. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.
11. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეძლებათ განცხადების გამოქვეყნებიდან საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების მიღების დასრულებამდე. **შემდეგ მისამართზე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი №3**. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.
12. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: **ზაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ზაზინა, კოდი 220101222, საზაზინო კოდი 300343174, გადახდის დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი**.
13. ტენდერში მონაწილეობაზე დაინტერესებულ პრეტენდენტებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში, ზემოაღნიშნულ მისამართზე.
14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბესიკ ქარადავა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: **ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, მე-4 სართული, მე-3 ოთახი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკონტაქტო ტელეფონი: 8(215) 5-19-39**.

სატენდერო კომისია

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი, დავების განმხილველი ცენტრი" DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით

DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომებშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია გურამ შანიძის, გიორგი ბულაშვილის და ზვიად კაციტაძის მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 3 სექტემბერს 13:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველ ცენტრში" შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე გურამ შანიძისათვის, მცხოვრები ქ. ქუთაისი, განათლების 1-ლი შეს. N10; გიორგი ბულაშვილი, მცხოვრები ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის N48; ზვიადი კაციტაძე, მცხოვრები: ქ. თბილისი, ფოსტის N3-5.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია.
 თანახმად "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა, ვაჭყენებთ 2009 წელს განხორციელებულ ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:

ტენდერის დასახელება	მიწოდებელი	ლოტის №	საქონლის ან მომსახურების დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ლოტის ღირებულება	ხელშეკრულების ღირებულება
ყოველდღიური, გამოსასვლელი სააღლუმე ფორმა და დაბალეულიანი ფეხსაცმელი	შპს "სამკერვალო მაუდი"	ლოტის 1	ყოველდღიური, გამოსასვლელი სააღლუმე ფორმა	-	-	-	270 851.00	270 851.00
სხვადასხვა ტიპის ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება (საერთაშორისო)	შპს "ავტო სტილი"	ლოტი: 12	"რენო"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	20 000.00	20 000.00
	შპს "ემ-პი-სი"	ლოტი: 1	"კვადროციკლები"	-	-	-	50 000.00	50 000.00
	შპს "ჯი-თი მოტორსი"	ლოტი: 20	"ლენდროვერი"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	200 000.00	200 000.00
	შპს "ავტოსერვისცენტრი"	ლოტი: 6	"გაზი"-სა და "ურალი"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	20 000.00	120 000.00
		ლოტი: 16	"ვაზი"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	100 000.00	
	შპს "იბერია ავტოპაუსი"	ლოტი: 2	"აული"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	10 000.00	120 000.00
		ლოტი: 3	"ბე-ემ-ვე"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	30 000.00	
		ლოტი: 4	"ფოლკსვაგენი"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	50 000.00	
		ლოტი: 14	"შვადა"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	30 000.00	
	შპს "იბერია ტექ ავტომოტივი"	ლოტი: 5	"ფორდი"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	50 000.00	120 000.00
		ლოტი: 8	"მერსედესი"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	50 000.00	
		ლოტი: 11	"ოპელი"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	20 000.00	
	შპს "თეგეტა მოტორსი"	ლოტი: 7	ჯიპი "ვილი"-ს მარკის ავტომანქანა	-	-	-	10 000.00	711 423.00
		ლოტი: 9	"მიცუბიში"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	50 000.00	
		ლოტი: 10	"ნისანი"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	30 000.00	
		ლოტი: 13	"რენჯროვერი"-ს მარკის ავტომანქანა	-	-	-	10 000.00	
		ლოტი: 15	"ტოიოტა"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	581 423.00	
		ლოტი: 17	"მზუდა"-ს მარკის ავტომანქანა	-	-	-	5 000.00	
		ლოტი: 18	"ჰიუნდაი"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	20 000.00	
ლოტი: 19		"ფიატა"-ს მარკის ავტომანქანები	-	-	-	5 000.00		

ბანკსადავა

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით აცხადებს აუქციონს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით არსებულ შემდეგ ქონებაზე:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით არსებული სოფ. აშში მდებარე 700 გრძივი მეტრი 1200 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 12 მმ); 450 გრძივი მეტრი 1200 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 20 მმ); 110 გრძივი მეტრი 1200 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 16 მმ); 240 გრძივი მეტრი 1200 მმ დიამეტრის (კედლის სისქე 13 მმ) ფოლადის მეორადი მილები პრივატიზებულ იქნეს აუქციონის წესით, შემდეგი პირობებით:

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 302441 (სამასობრიათას ოთხას ორმოცდაერთი) ლარით;

ბ) აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის-ბე"-ს სიდიდე განისაზღვროს 30244 (ოცდაათიათას ორას ორმოცდაოთხი) ლარით;

გ) ბიჯის სიდიდე განისაზღვროს 15122 (თხუთმეტიათას ას ოცდაორი) ლარით;

დ) მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარით.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2009 წლის 13 აპრილის 10.00 სთ/დან 2009 წლის 11 სექტემბრის 11.00 სთ/მდე. აუქციონი გაიმართება 2009 წლის 11 სექტემბერს 12.00 სთ/ზე.

აუქციონში მონაწილეობისათვის ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- იურიდიული პირისათვის: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (რწმუნება), თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

სადამფუნდებლო დოკუმენტაციის (წესდების) დამოწმებული ასლი; "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად); ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად); პირადობის მოწმობის ასლი.

ფიზიკური პირისათვის:

"ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად); ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად); პირადობის მოწმობის ასლი.

"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

საინდენტიფიკაციო კოდი: 229324451.

ანგარიში: 33030001.

